საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაია აფციაური

ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“ შიფრი 0501

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივლისი, 2016

თბილისი
2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

ხელმძღვანელები: პროფესორი თემურ ჯანგველაძე

ასოც. პროფ. ზურაბ კიღურაძე

რეცენზენტები: ---------------------------------------

დაცვა შედგება ---------- წლის „--------„ --------------------, ----- საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ------------------------------------ -------------------- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,

კორპუსი ------, აუდიტორია ----------

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი პროფ. თინათინ კაიშაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით აფციაური მაიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელები: პროფესორი თემურ ჯანგველაძე

ასოც. პროფ. ზურაბ კიღურაძე

რეცენზენტები: ---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2016

ავტორი: აფციაური მაია

დასახელება: „ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა“

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთმოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

მაია აფციაურის მიერ შესრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი “ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა“ ეძღვნება ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესის აღმწერი მაქსველის სისტემაზე დაფუძნებული არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელების ზოგიერთი თვისების შესწავლას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური მოდელების გამოკვლევისა და მიახლოებითი ამოხსნის საკითხებს. კერძოდ, მათთვის მოცემულია: საწყის-სასაზღვრო ამოცანების ერთადერთობის თეორემები, ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის გამოკვლევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას, დასმული ამოცანების შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული ანალოგების აგება და გამოკვლევა, კომპიუტერზე რეალიზაციის ალგორითმები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები და შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციები. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით მიღებული შედეგები თავიანთი მეცნიერული ღირებულებებით და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, უდაოდ აქტუალურია.

სადისერტაციო ნაშრომში დასაწყისში აღწერილია მაქსველის ცნობილ სისტემაზე დაფუძნებული ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფუზიური მოდელი და მისი ინტეგრო-დიფერენციალური ანალოგები.

ინტეგრო-დიფერენციალურ სახეზე მაქსველის არაწრფივი სისტემის რედუქცია პირველად 1983 წელს განხორციელდა დავით გორდეზიანის, თემურ ჯანგველაძის და თენგიზ ყორშიას ნაშრომში, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი გამოხმაურება და სამეცნიერო პუბლიკაციები, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. ამ ნაშრომზე დაყრდნობით გენადი ლაპტევმა 1990 წელს თავის სადოქტორო დისერტაციაში მოიყვანა ამ მოდელის ე.წ. გასაშუალებული ვარიანტი. მან აღნიშნა, რომ ამონახსნის არსებობის საკითხების შესასწავლად მის მიერ წინა მოდელში მონოტონურობის ცნობილი პრინციპის გარკვეული მოდიფიცირებით მიღებული შედეგების გადატანა აქ ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ გასაშუალებული მოდელი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენდა.

მ.აფციაურის დისერტაციაში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ იმ საკითხების შესწავლა, რაც მასში არის გადმოცემული გარკვეული აზრით მსგავსად მიმდინარეობს და ამან განაპირობა დისერტაციის სათაურში სიტყვათა კონსტრუქცია „ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური“.

ნაშრომში მოცემულია ერთგანზომილებიანი დიფერენციალური სისტემის სტაციონარული ამონახსნის წრფივად მდგრადობის საკითხები და ჰოფის ბიფურკაციის შესაძლებლობა. ერთი საწყის-სასაზღვრო ამოცანისათვის ასევე დაფიქსირებულია გლობალურად მდგრადობის საკითხი. აგებულია შესაბამისი სასრულ-სხვაობიანი სქემები და რიცხვითი ამოხსნის

ალგორითმები. მათზე დაყრდნობით ჩატარებულია კომპიუტერული ექსპერიმენტები და მოყვანილია რიცხვითი გათვლების გრაფიკული ილუსტრაციები.

გამოკვლეულია პარაბოლური ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელების ამონახსნთა ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. აგებულია შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული ანალოგები და მათი იტერაციული მეთოდით ამოხსნის ალგორითმები. აქაც მოცემულია ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების ტესტურ ამოცანებზე მიღებული შედეგების გრაფიკული ილუსტრაციები.

აღსანიშნავია სადისერტაციო ნაშრომის დანართიც, სადაც განხილული ალგორითმების რეალიზაციისთვის ავტორისეული პროგრამული პაკეტებია მოყვანილი.

დისერტაციაში შესწავლილი მოდელების სირთულე განაპირობებდა როგორც თეორიული, ასევე გამოთვლითი მათემატიკის საშუალებების ფართო გამოყენებას. სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა როგორც უწყვეტი ამოცანების გამოკვლევას, ასევე რიცხვითი ანალოგების აგებას და შესწავლას, რომელთა შედეგებიც დადასტურებულია ჩატარებული მრავალი რიცხვითი გათვლებით და მათი ანალიზით. ნაშრომი ასევე მდიდარია გრაფიკული ილუსტრაციებით.

SUMMARY

The dissertation performed by Maia Aptsiauri “Investigation and Approximate Solution of One Nonlinear Integro-Differential Model” is dedicated to study of some properties of nonlinear differential and integro-differential models, which are based on Maxwell system describing diffusion process of electromagnetic field.

In the work the main attention is paid to investigation and numerical solution of parabolic type integro-differential models. In particular, the following issues are studied: uniqueness theorems of initial-boundary value problems; large time behavior of solutions; construction and investigation of semi-discrete and discrete analogs; realization algorithms and corresponding software; results of numerical experiments and appropriate graphical illustrations. Thus, we believe that in this respect the obtained results with their scientific values and practical applications point of view, is undoubtedly important.

In the beginning of the dissertation work the nonlinear partial differential models and its integro-differential analogs based on Maxwell system, describing process of electromagnetic field propagation into a substance is described. At first reduction to the integro-differential form was made in 1983 by David Gordeziali, Temur Jangveladze and Tengiz Korshiya. Many scientific works were followed after that work in Georgia as well as abroad. Based on that work, in 1990 Genady Laptev proposed the so called average model of the considered model in his doctoral dissertation. He noted that it is not possible to apply the results obtained by the generalization of the theory of monotonic operator, which he applied for his previous models, for the mentioned averaged model. Therefore, he concluded that the average model was the subject of a separate study.

A study in the dissertation shows that the focus here, in a sense, is proceeding likewise as given there, and this has led to the construction of the words in the title of the thesis "of the nonlinear integro-differential".

The linear stability and possibility of Hopf bifurcation with justification for stationary solution of one-dimensional differential system is studied in the work. The global stability of one initial-boundary value problem is also investigated. The corresponding finite difference scheme and numerical algorithms are constructed. Based on those schemes and algorithms the computer experiments are carried out. And appropriate graphical illustrations are given. Asymptotic behavior of solutions of parabolic type nonlinear integro-differential models is investigated. Relevant semi-discrete and discrete analogs and iterative algorithms for their solution are constructed. The graphical illustrations for test examples are given.

One must note the appendix of the dissertation where author’s realization program codes for considered algorithms are given.

The complexity of the studied models required application of theoretical researches as well as methods of computational mathematics. Dissertation focuses on investigation of continuous problems as well as study and construction of numerical analogs, results of which is confirmed by carried out various numerical calculations and their analysis. The presented work is also rich by graphical illustrations.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

პრაქტიკული ამოცანების მათემატიკური მოდელირება, გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა თანამედროვე მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთ აქტუალურ სფეროს წარმოადგენს.

ასეთი ტიპის ამოცანებს მიეკუთვნება ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესები ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტიც არსებითად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. ამ და მისი მსგავსი პროცესების აღმწერ მოდელებს ეძღვნება უამრავი ნაშრომი (იხილეთ მაგალითად, [1-30] და მათში მოყვანილი ლიტერატურული მითითებები).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დიფუზიის ასეთი ამოცანების მა-თემატიკურ მოდელირებას, გამოკვლევას და რიცხვით ამოხსნას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნული პროცესის, ისევე როგორც სხვა მრავალრიცხოვანი მსგავსი ამოცანის მათემატიკური მოდელირებისას, ვღებულობთ არაწრფივ კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ, ინტეგრო-დიფერენციალურ გან-ტოლებებს და განტოლებათა სისტემებს, რომელთა გამოკვლევას და რიცხვით ამოხსნას ეძღვნება უამრავი სამეცნიერო ნაშრომი (იხილეთ მაგალითად, [1-102] და მათში მოყვანილი ლიტერატურული მითითებები). აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებებით საკმაოდ ვრცელი და შედარებით სრულყოფილი ლიტერატურული ციტირებები მოცემულია ახლახანს გამოცემულ [75] მონოგრაფიაში Temur Jangveladze, Zurab Kiguradze, Beny Neta. Numerical Solutions of Three Classes of Nonlinear Parabolic Integro-Differential Equations. Elsevier. Academic Press, 2015, 254 p.

აღნიშნული დიფერენციალური სისტემების ძირითადი თავისე-ბურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შეიცავენ სხვადასხვა რიგის გან-ტოლებებს, რომლებიც ძლიერად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. აღნიშნული გარემოება ყოველი კონკრეტული სისტემისთვის განაპირობებს კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენებას, რადგან ზოგადი თეორია

ამგვარი წრფივი სისტემებისთვისაც კი ჯერ კიდევ არასრულადაა განვითა-რებული. ბუნებრივად დგება მსგავსი ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის აუცილებლობის საკითხი, რაც თავის მხრივ არანაკლები სირთულეების დაძლევასთან არის დაკავშირებული. გამოკვლევისთვის საჭირო და მოსახერხებელი ყოველი მეთოდის თავისებურება ძირითადად ვლინდება შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების და მათი დისკრეტული ანალოგებისთვის აუცილებელი აპრიორული შეფასებების მიღებასა და მათ შემდგომ გამოყენებაში.

შესასწავლი მოდელების სირთულე განაპირობებს მათი კომპლექსუ-რად კვლევის აუცილებლობას. კერძოდ, როგორც თეორიული ასევე გამოთ-ვლითი მათემატიკის საშუალებების ფართო გამოყენებას. ბუნებრივია, რომ მნიშვნელოვანი როლი აქ უნდა ითამაშოს რიცხვითმა ექსპერიმენტმა.

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულია მათემატიკური გამოკვლე-ვები არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი და ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა ზოგიერთი დიფუზიური მოდელისათვის. ამოცანაში შემავა-ლი ყველა პარამეტრისთვის, კერძოდ, არაწრფივობის მახასიათებლების-თვის, როგორც უწყვეტი ასევე დისკრეტული ანალოგების სრულყოფილი თეორიული შესწავლა ფაქტიურად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მსგავსი სახის თეორიულ გამოკვლევებს, რომელთა შედეგებიც დადასტურებულია ჩატარე-ბული მრავალი რიცხვითი გამოთვლებით. ამ შემთხვევებისთვის შემუშა-ვებული რიცხვითი გამოთვლების ალგორითმების ეფექტურმა გამოყენებამ საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა რიცხვითი ექსპერიმენტები პარამეტრების სხვა მნიშვნელობებისთვისაც. რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აიოლებს შესასწავლი პროცესის პრაქტიკული შინაარსის გააზრებას.

აღსანიშნავია, რომ მრავალი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესის მათემატიკური აღწერა ხორციელდება ინტეგრო-დიფერენციალუ-რი განტოლებებით და მათი სისტემებით. განტოლებები, რომლებიც საძიე-ბელ ფუნქციებთან ერთად შეიცავენ ინტეგრალებს ამ ფუნქციებიდან და მათი

წარმოებულებიდან, ფაქტიურად წარმოიშვნენ კერძოწარმოებულებიან განტოლებებთან ერთად. მიუხედავად ამისა, აღნიშნული განტოლებების გამოკვლევა დაიწყო შედარებით გვიან.

ზემოთ მითითებულ სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, სხვადასხვა სახის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენცილური განტოლებები შეისწავლება მრავალ სხვა სამეცნიერო ნაშრომშიც (იხილეთ მაგალითად, [103-109] და მათში მოყვანილი ლიტერატურული მითითებები). დისერტაციაში განხილული ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესების აღმწერი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელი პირველად შემოთავაზებულ იქნა დ.გორდეზიანის, თ.ჯანგველაძის და თ.ყორშიას [37] ნაშრომში. აღნიშნული და მსგავსი მოდელები წარმოიშვნენ ერთის მხრივ რეალური დიფუზიური პროცესების აღწერისას, ხოლო მეორეს მხრივ – არაწრფივი პარაბოლური ტიპის ცნობილი განტოლებების განზოგადებისას, რომელთა შესწავლას ეძღვნება მრავალი სამეცნიერო ნაშრომი (იხილეთ მაგალითად, [110-113] და სხვა). ამ განტოლებების და განტოლებათა სისტემების დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი რიგის წარმოებულებთან გვხვდება არაწრფივი კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია სივრცითი და დროითი ცვლადების მიმართ საძიებელი ფუნქციებისა და მათი წარმოებულებიდან აღებულ ინტეგრალებზე.

გ.ლაპტევმა 1990 წელს თავის სადოქტორო დისერტაციაში მოიყვანა ზემოთაღნიშნული მოდელის ე.წ. გასაშუალებული ვარიანტი [54]. რომელმაც შემდეგში ასევე მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიქცია. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის მოდელების გამოკვლევა პირველად [39] ნაშრომში ჩატარდა.

დიფუზიის მრავალი პროცესის აღმწერი არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებები და განტოლებათა სისტემები იყო და კვლავაც არის მრავალი მეცნიერის კვლევის ობიექტი. ამ სისტემების შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების თვისობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების დადგენა, დისკრეტული ანალოგების

აგება, გამოკვლევა და რიცხვითი ალგორითმების შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე გამოთვლითი მათემატიკის მეტად აქტუალურ და სწრაფად განვითარებად ნაწილს.

დისერტაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ზემოთ დაფიქსირებული ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესების აღმწერი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი და ძირითადად კი შესაბამისი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემების ზოგიერთი თვისების შესწავლა, შესაბამისი დისკრეტული ანალოგების აგება და გამოკვლევა, სარეალიზაციო ალგორითმების შედგენა, პროგრამული უზრუნველყოფა და რიცხვითი ამოხსნა.

სხვადასხვა ბუნების დიფუზიური ამოცანების მოდელირება და მათემატიკური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის მდგრადობის, არსებობის, ერთადერთობის თეორემებთან და ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხებთან შესწავლილია ზემოთ მოყვანილ და სხვა მრავალ სამეცნიერო ნაშრომში.

რეალური გამოყენებითი ამოცანების შესწავლა თანამედროვე კომპიუტერების გარეშე წარმოუდგენელია. არწრფივი ამოცანების ამოხსნის მეთოდების განვითარება და მათ ბაზაზე სხვადასხვა გამოყენებითი ამოცანის მოდელირებისთვის გამოთვლითი ექსპერიმენტების აუცილებლობა ნათელია. მათემატიკური ფიზიკის ამოცანების რიცხვითი ამოხსნის მეთოდები განხილულია მაგალითად შემდეგ ნაშრომებში [114-123] და მრავალ სხვა სამეცნიერო პუბლიკაციაში.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება რეზიუმეს, შესავალის, სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართისაგან.

პირველ თავში განიხილება ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის მათემატიკური მოდელირება ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე. მაქსველის დიფერენციალურ სისტემაზე დაყრდნობით მოყვანილია დიფუზიის

ზოგადი ამოცანის დასმა. ერთგანზომილებიანი შემთხვევისათვის განხილულია ამოცანის ზოგიერთი მათემატიკური თავისებურება. კერძოდ, მოცემულია ერთი დიფუზიური მოდელის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. აგებული და გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული ანალოგები. მოცემულია მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმები და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები და მოყვანილია გრაფიკული ილუსტრაციები.

პირველ ორ პარაგრაფში მაქსველის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის საფუძველზე მოცემულია დიფუზიის ზოგადი ამოცანის დასმა. ამავე პარაგრაფებში განხილულია მათი ზოგიერთი მათემატიკური თავისებურება.

მეორე პარაგრაფში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ამ მოდელის ინტეგრო-დიფერენციალურ სახემდე რედუქციაზე. აღსანიშნავია, რომ მაქსველის განტოლებათა სისტემისთვის აღნიშნული რედუქცია, როგორც ზემოთ ეს უკვე აღინიშნა, პირველად [37] ნაშრომში იქნა ჩატარებული. შედეგად მიღებულ იქნა არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა ახალი კლასი, რომლის მიმართაც სამეცნიერო ინტერესი სულ უფრო იზრდება {31-46, 48-56, 58, 59, 64, 67, 68, 70-80, 83-102}.

აღნიშნული ინტეგრო-დიფერენციალური მოდელი რთულია და მისი გამოკვლევა ჯერჯერობით მხოლოდ კერძო კლასებისთვის ხერხდება. სხვადასხვა ვარიანტები განხილულია მრავალ ნაშრომში (იხილეთ მაგალითად, {31-46, 48-56, 58, 59, 64, 67, 68, 70-80, 83-102} და მათში მოყვანილი ლიტერატურული მითითებები).

ერთგანზომილებიანი ვარიანტისათვის ამ მოდელის სხვადასხვა შემთხვევების შესწავლა დაიწყო [32, 37] ნაშრომებში. მათში პირველი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნისთვის დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. ამონახსნების არსებობის თეორემების დასამტკიცებლად ამ ნაშრომებში გამოყენებულია გალიორკინის

მეთოდის ერთი მოდიფიცირებული ვარიანტი და კომპაქტურობის პრინციპი. გამოკვლევის აღნიშნული სქემა არაწრფივი პარაბოლური განტოლებებისათვის პირველად შემოთავაზებული იყო [113] ნაშრომში და შემდეგ ხშირი გამოყენება ჰპოვა მრავალ სამეცნიერო გამოკვლევაში (იხილეთ მაგალითად, [13, 127] და მათში მოყვანილი ლიტერატურული მითითებები). მრავალგანზომილებიანი სივრცული ცვლადების შემთხვევა პირველად განხილული იქნა [31, 33] ნაშრომებში. სხვებთან ერთად გ.ლაპტევმაც ზევრი სამეცნიერო გამოკვლევა ჩაატარა ამ მიმართულებით [52-55] და [31-33, 37] ნაშრომებზე დაყრდნობით, მან როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, [54]-ში მოიყვანა ამ მოდელის ე.წ. გასაშუალებული ვარიანტი. რომელმაც შემდეგ ასევე მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიქცია. გ.ლაპტევმა დააფიქსირა, რომ იმ მიდგომით, რომელიც მან არაგასაშუალებულ მოდელებში გამოიყენა აქ გამოკვლევა ვერ ხერხდებოდა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მის მიერ არაწრფივ მონოტონურ ოპერატორთა თეორიის მოდიფიცირებით მიღებული ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება ამ შემთხვევისთვის ალბათ სხვა მიდგომით უნდა ჩანაცვლებულიყო. როგორც უკვე აღინიშნა ამ მიმართულებით გასაშუალებული მოდელების გამოკვლევა კომპაქტურობის მეთოდის ერთი მოდიფიცირებული ვარიანტის გამოყენებით პირველად [39] ნაშრომში განხორციელდა.

არაგასაშუალებული და გასაშუალებული ამ ტიპის მოდელების შესწავლას და განსაკუთრებით, საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევისა და მიახლოებითი ამონახსნების აგების საკითხებს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა (იხილეთ მაგალითად, {31-46, 48-56, 58, 59, 64, 67, 68, 70-80, 83-102} და მათში მოყვანილი ლიტერატურული მითითებები).

ასეთი ტიპის საკითხების კერძო შემთხვევების შესწავლას ეძღვნება დისეტრაციის მეორე და მესამე თავიც. კერძოდ, მეორე თავში არაგასაშუალებულ და ხოლო მესამეში გასაშუალებულ ამოცანებზეა ყურადღება გამახვილებული.

დისერტაციის ავტორს სწორედ ამ მიმართულებებით აქვს დამოუ-კიდებლად და თანაავტორობით რამოდენიმე ნაშრომი გამოქვეყნებული [87-102].

პირველ თავში ერთ-ერთი დიფუზიური ამოცანისთვის ასევე მოყვა-ნილია ამონახსნის გლობალური ყოფაქცევა ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. ამავე თავში ერთ-ერთი დიფუზიური ამოცანისთვის ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების საშუალებით მოცემულია ამონახ-სნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. კერძოდ, განხილულია საკმაოდ ზოგადი ხარისხოვანი სახის არაწრფივი მო-დელის სტაციონალური ამონახსნის წრფივად მდგრადობის და ერთი კონ-კრეტული არაწრფივობისა და შერეული სასაზღვრო პირობებიანი ამოცანის ამონახსნის გლობალურად მდგრადობის საკითხები. ამ საკითხების განხილ-ვა პირველად განხორციელდა [35] ნაშრომში, განზოგადებული სისტემი-სთვის კი [50] ნაშრომში.

პირველი თავის ბოლო მეხუთე პარაგრაფი ეძღვნება განხილული სასრულ-სხვაობიანი სქემებით რიცხვითი ამოხსნის საკითხებს. კერძოდ, აქ მოცემულია ამ თავში აგებული მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმებით ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების გრაფიკული ილუსტრაციები.

მეორე თავში შედგება ხუთი პარაგრაფისაგან. პირველ ოთხ პარაგრაფ-ში გამოკვლეულია არაგასაშუალებული პარაბოლური ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის ზოგიერთი ვარიანტისთვის ამონახსნთა ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. აგებულია შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული ანალოგები და მათი იტერაციული მეთოდით ამოხსნის ალგორითმები.

ამ თავის ბოლო მეხუთე პარაგრაფში მოცემულია ტესტურ ამოცანებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით მიღებული რიცხვითი შედეგების ანალიზი და შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციები.

მესამე თავი შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. პირველი სამი პარაგრაფი ეძღვნება მეორე თავში შესწავლილი საკითხების ანალოგიურების გამოკვლევას პარაბოლური ტიპის არაწრფივი გასაშუალებული ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის ზოგიერთი ვარიანტისთვის. კერძოდ, ამ პარაგრაფებში შესწავლილია ამონახსნთა ასიმპტოტური ყოფაქცევას დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. აგებულია შესაბამისი სხვაობიანი ანალოგები და მათი იტერაციული მეთოდით ამოხსნის ალგორითმები.

ბოლო მეოთხე პარაგრაფში აქაც მოცემულია ტესტურ ამოცანებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით მიღებული რიცხვითი შედეგების ანალიზი და შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციები.

დისერტაციის ბოლოში მოყვანილია დანართი, სადაც მოცემული და აღწერილია სხვადასხვა პროგრამული კოდების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ჩატარებულია გათვლები.

დისერტაციაში გადმოცემული შედეგები მოსმენილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სემინარებზე. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის გეგმის შესაბამისად დისერტაციის ძირითადი შედეგების შესახებ მომზადდა და ჩატარდა თემატური კოლოქვიუმები და სემინარები.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში [87-102] და მოხსენებული იყო: რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე: თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარების სხდომებზე (1995, 2000, 2001, 2009-2015 წწ.) [90, 91, 95-97, 99-102], საერთაშორისო კონფერენციაზე გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები (თბილისი, 2008) [87], საქართველოს მათემატიკოსთა V კონგრესზე (ბათუმი-ქუთაისი, 2009) [88], საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციაზე (ბათუმი, 2015 წ.) [89].

თავი I. ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების კერძოწარმოებულებიანი და ინტეგრო-დიფერენციალური არაწრფივი მოდელების შესახებ

ამ თავში განიხილება ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პრო-ცესის მათემატიკური მოდელირება ისეთ გარემოში, რომლის ელექტრო-გამტარობის კოეფიციენტიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე. მაქსველის დიფერენციალურ სისტემაზე დაყრდნობით მოყვანილია დიფუზიის ზო-გადი ამოცანის დასმა. განხილულია ამოცანის ზოგიერთი მათემატიკური თავისებურება. მოცემულია ერთი დიფუზიური მოდელის ამონახსნის ასიმ-პტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. აგებული და გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული ანალოგები. მოცემულია ამოხსნის ალ-გორითმები და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები და გრა-ფიკული ილუსტრაციები.

§1. მაქსველის კერძოწარმოებულებიანი არაწრფივი მოდელი

განვიხილოთ მასიური სხეული, რომელიც მოთავსებულია ცვლად მაგნიტურ ველში. აღვწეროთ ასეთ სიტუაციაში მაგნიტური ველის განაწი-ლება სხეულის შიგნით დროის სხვადასხვა მომენტისათვის.

კარგად არის ცნობილი, რომ ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესი აღიწერება მაქსველის განტოლებათა სისტემით, რო-მელსაც აქვს შემდეგი სახე(იხილეთ მაგალითად, [1-3]:

$$-\frac{1}{c}\frac{\partial H}{\partial t}=rot\,E\,, \qquad (1)$$

$$div\,H=0\,, \qquad (2)$$

$$\frac{4\pi}{c}J=rot\,H\,, \qquad (3)$$

$$J=\sigma E\,. \qquad (4)$$

განვსაზღვროთ (4) ტოლობიდან E სიდიდე და ჩავსვათ (3) სისტემაში. მივიღებთ

$$E = \rho \frac{c}{4\pi} rot\, H\ ,$$

სადაც $\rho = \dfrac{1}{\sigma}$ სხეულის წინაღობაა. მიღებული ტოლობის (1) სისტემაში ჩასმით გვექნება

$$\frac{\partial H}{\partial t} + \frac{c^2}{4\pi} rot\left(\rho rot\, H\right) = 0\,. \tag{5}$$

როგორც კი შეაღწევს ცვლადი მაგნიტური ველი სხეულში, იგი მასში აღძრავს ცვლად ელექტრულ ველს, რის შედეგადაც წარმოიქმნება დენი. ამის შემდეგ ხდება სხეულის ტემპერატურის ცვლილება, კერძოდ, მისი θ ტემპერატურის ზრდა, რომელიც გავლენას ახდენს ρ წინაღობაზე. ტემპერატურის ზრდა, როგორც წესი, იწვევს წინაღობის ხარისხოვანი დამოკიდებულებით ცვლილებას. ასე, რომ ტემპერატურის დიდი ცვლილებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ $\rho = \rho\left(\theta\right)$ დამოკიდებულება. ბოლო არსებითი შეზღუდვა რაც უნდა გაკეთდეს პროცესის აღწერისას, მდგომარეობს იმაში, რომ სხეულის ტემპერატურის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია J დენის მოქმედებით, უნდა ემორჩილებოდეს ჯოულ-ლენცის კანონს, რომელსაც აქვს შემდეგი სახე

$$\rho_0 c_v \frac{\partial \theta}{\partial t} = \rho J^2\,, \tag{6}$$

სადაც ρ_0 – ნივთიერების სიმკვრივეა, c_v კი – კუთრი სითბოტევადობა, რომლებიც საზოგადოდ ასევე დამოკიდებული არიან ტემპერატურაზე. (6) განტოლება არ ითვალისწინებს სითბოს გადაცემის პროცესს სითბოგამტარობის ან გამოსხივების საშუალებით. არ განიხილება აგრეთვე მთელი რიგი ფიზიკური ეფექტები. მიუხედავად ამისა, მათემატიკური თვალსაზრისით, (5), (6) განტოლებები საკმაოდ რთულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, (7) და (10) სისტემებში არ არის გათვალისწინებული მრავალი ფიზიკური ეფექტი. ამოცანის უფრო ზოგადად დასმისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ნივთიერების სითბოგამტარობის გათვალისწინება. ამ შემთხვევაში ჯოულ-ლენცის კანონში გაჩნდება დამატებითი შესაკრები, რომელიც ითვალისწინებს სითბოგამტარობის პროცესს და იგი მიიღებს შემდეგ სახეს (იხილეთ მაგალითად, [3])

$$\rho_0 c_v \frac{\partial \theta}{\partial t} = \rho J^2 + \nabla(\chi \nabla \theta),$$

სადაც χ სითბოგამტარობის კოეფიციენტია, რომელიც საზოგადოდ, აგრეთვე დამოკიდებულია ტემპერატურაზე.

ამ ეფექტის გათვალისწინებითაც სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გამოკვლევაა ჩატარებული (იხილეთ მაგალითად, [14, 82, 75] და მათში მოცემული ლიტერატურული მითითებები).

§2. მაქსველის განტოლებათა სისტემის რედუქცია ინტეგრო-დიფერენციალურ მოდელებამდე

გადავიდეთ (5), (6) არაწრფივი სისტემის ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემამდე რედუქციის საკითხის შესწავლაზე, რომელიც მიმდინარეობს [37] ნაშრომში ჩატარებული მსჯელობის ანალოგიურად.

გადავწეროთ (6) განტოლება შემდეგი სახით

$$\rho_0(\theta) \frac{c_v}{\rho(\theta)} \frac{\partial \theta}{\partial t} = J^2 .$$

თუ შემოვიღებთ ფუნქციას

$$S(\theta) = \int_{\theta_0}^{\theta} \rho_0(\xi) \frac{c_v}{\rho(\xi)} d\xi ,$$

მაშინ უკანასკნელი განტოლებიდან მივიღებთ

$$\frac{\partial S}{\partial t} = J^2 .$$

დავუშვათ, რომ პროცესი იწყება დროის $t=0$ მომენტში, რომელსაც შეესაბამება ნივთიერების θ_0 ტემპერატურა.

ამ განტოლების $[0,t]$ შუალედზე ინტეგრებით მივიღებთ

$$S[\theta(x,t)] = \int_0^t J^2 d\tau .$$

ფიზიკური თვალსაზრისით ρ_0, c_v და ρ ფუნქციები არის დადებითი, ამიტომ $S(\theta)$ ფუნქცია მონოტონურად ზრდადია. აქედან გამომდინარე ცალსახად განისაზღვრება მისი შებრუნებული $\theta=\varphi(S)$ ფუნქცია, რომელიც $S(\theta)$ ფუნქციასთან დაკავშირებულია $\varphi[S(\theta)]=\theta$ თანაფარდობით. ამრიგად, შიეძლება ჩაიწეროს

$$\theta(x,t) = \varphi\left(\int_0^t J^2 d\tau\right).$$

თუ გავითვალისწინებთ (3) სისტემას, გვექნება

$$J = \frac{c}{4\pi} rot\, H ,$$

ანუ

$$\theta(x,t) = \varphi\left(\int_0^t \left|\frac{c}{4\pi} rot\, H\right|^2 d\tau\right).$$

ჩავსვათ ეს გამოსახულება (5) განტოლებაში, როგორც $\rho=\rho(\theta)$ ფუნ-ქციის არგუმენტი, რის შედეგადაც მივიღებთ

$$\frac{\partial H}{\partial t} + \frac{c^2}{4\pi} rot\left\{\rho\left[\varphi\left(\int_0^t \left|\frac{c}{4\pi} rot\, H\right|^2 d\tau\right)\right] rot\, H\right\} = 0 ,$$

$$div\, H = 0 .$$

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

$$a(S) = \frac{c^2}{4\pi}\rho(\varphi(S)), \quad W = \frac{c}{4\pi} H ,$$

მაშინ სისტემა შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\frac{\partial W}{\partial t} + rot\left[a\left(\int_0^t |rot W|^2 d\tau\right) rot W\right] = 0 , \tag{7}$$

$$divW = 0.$$

თუ განვიხილავთ ბრტყელ ველს $W(0,U,V)$, სადაც $U = U(x,t)$ და $V = V(x,t)$ ფუნქციები დამოკიდებულია ერთ სივრცით ცვლადზე, მაშინ

$$rotW = \left(0, -\frac{\partial V}{\partial x}, \frac{\partial U}{\partial x}\right),$$

ხოლო

$$rot\left(a(S)rotW\right) = \left(0, -\frac{\partial}{\partial x}\left(a(S)\frac{\partial U}{\partial x}\right), -\frac{\partial}{\partial x}\left(a(S)\frac{\partial V}{\partial x}\right)\right)$$

და შესაბამისად (7) ვექტორული დამოკიდებულებიდან ვღებულობთ შემდეგ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{aligned} &\frac{\partial U}{\partial t} - \frac{\partial}{\partial x}\left[a\left(\int_0^t \left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right] d\tau\right)\frac{\partial U}{\partial x}\right] = 0, \\ &\frac{\partial V}{\partial t} - \frac{\partial}{\partial x}\left[a\left(\int_0^t \left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right] d\tau\right)\frac{\partial V}{\partial x}\right] = 0. \end{aligned} \tag{8}$$

აღვნიშნოთ, რომ (7) სახის განტოლებები პირველად განხილული იყო [32, 37] ნაშრომებში. ამ სტატიებში, ისევე როგორც [86] ნაშრომში, სხვა საკითხებთან ერთად, $a = a(S)$ ფუნქციაზე საკმაოდ ზოგადი შეზღუდვების შემთხვევაში, დამტკიცებულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ერთადერთობა.

დავუშვათ, რომ ρ_0 და c_v სიდიდეები მუდმივებია. განვიხილოთ $a(S)$ და $\rho(\theta)$ ფუნქციების მაგალითები (ქვემოთ მოყვანილ ოთხივე მაგალითში c_0 და c_1 სიდიდეები აღნიშნავენ დადებით მუდმივებს).

თუ $\rho(\theta) = \theta^{\alpha}$, $\alpha > 1$, მაშინ $a(S) = c_1(c_0 - S)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}$. ამრიგად, $\rho(\theta)$ წინაღობის ხარისხოვან ზრდას მივყავართ მხოლოდ სასრულ შუალედზე განსაზღვრულ $a(S)$ კოეფიციენტამდე. შევნიშნოთ, რომ ფიზიკურ ნივთიერებას ასეთი თვისება არ გააჩნია.

თუ $\rho(\theta)=\theta$, მაშინ $a(S)=c_1e^{c_0S}$. აქედან ჩანს, რომ წრფივი ზრდა გვაძლევს მაჩვენებლიან $a(S)$ ფუნქციას. ტემპერატურის ზრდისას წინაღობის წრფივი ზრდა დამახასიათებელია მეტალებისთვის.

თუ $\rho(\theta)=\theta^{\alpha}$, $0<\alpha<1$, მაშინ $a(S)=c_1(c_0+S)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}$ და $\rho(\theta)$ ფუნქციის ზრდა გვაძლევს $a(S)$ კოეფიციენტის ხარისხოვან ზრდას.

თუ $\rho(\theta)=\theta^{-\alpha}$, $\alpha>0$, მაშინ $a(S)=c_1(c_0+S)^{-\frac{\alpha}{1+\alpha}}$. მაშასადამე, კლებადი $\rho(\theta)$ ფუნქციიდან ვღებულობთ კლებად $a(S)$ ფუნქციას. ეს არის ზოგადი ფაქტი, თუ ρ_0 და c_v სიდიდეები მუდმივებია. მართლაც, დავუშვათ, რომ როცა $\theta\geq\theta_0$, მაშინ $\rho(\theta)$ ფუნქცია დიფერენცირებადია, მაშინ განსაზღვრების თანახმად გვექნება

$$\frac{da}{dS}=\frac{c^2}{4\pi}\frac{d\rho}{d\theta}\frac{d\theta}{dS}=\frac{c^2}{4\pi}\frac{d\rho/d\theta}{dS/d\theta}=\frac{c^2}{4\pi\rho c_v}\rho(\theta)\rho'(\theta).$$

აქედან ნათლად ჩანს, რომ $a(S)$ ფუნქცია იზრდება და კლებულობს $\rho(\theta)$ ფუნქციასთან ერთად. აღვნიშნოთ, რომ $\rho(\theta)$ წინაღობის შემცირება ტემპერატურის ზრდასთან ერთად დამახასიათებელია ნახევარგამტარებისთვის მყარ ფაზაში, გაზებისთვის და აგრეთვე პლაზმისთვის, რომლისთვისაც გვაქვს $\rho(\theta)=K\theta^{-3/2}$.

ახლა გადავიდეთ ე.წ. გასაშუალებული ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის გამოყვანაზე [54], რომელიც კვლავ აღწერს ელექტრომაგნიტური ველის გავრცელებას გარემოში [1-3].

ჯოულ-ლენცის (6) კანონი წარმოადგენს სითბოს გამოყოფის [1] ლოკალურ კანონს

$$dQ=\int_{\Omega}JEdxdt\,. \tag{9}$$

აქ dQ – სითბური ენერგიის ნაკადია დროის dt შუალედში, სხეულის მთელ მოცულობაში, რომელიც უკავია $\Omega\subset R^3$ არეს. ჯოულ-ლენცის კანონი არ ითვალისწინებს სითბოს გადაცემის პროცესს სხეულის შიგნით. ეს კი სამართლიანია, თუ ჩავთვლით ტემპერატურას მუდმივს სხეულის გასწვრივ,

ე.ი. დამოკიდებულს დროზე, მაგრამ დამოუკიდებელს სივრცითი ცვლადე-ბისგან. ამრიგად, ამ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ $\theta = \theta(t)$. ამ დაშვებაში $dQ = mc_v d\theta$, სადაც m – ნივთიერების მასაა, მაშინ (6) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს

$$mc_v(\theta)\frac{d\theta}{dt} = \int_{\Omega} JEdx\,.$$

ომის $E = \rho(\theta)J$ კანონის გამოყენებით და გამორიცხვის მეთოდის გა-მეორებით, ვღებულობთ (7) სისტემის შემდეგნაირ ანალოგს [54]

$$\frac{\partial W}{\partial t} + rot\left[a\left(\frac{1}{|\Omega|}\int_0^t\int_{\Omega}|rot\,W|^2 dxd\tau\right)rot\,W\right] = 0\,,$$

$$div\,W = 0\,.$$

აქ $|\Omega|$ სხეულის მოცულობაა. Ω არის მიმართ გასაშუალების გამო ამ განტოლების $a(S)$ კოეფიციენტი დამოკიდებულია მხოლოდ t ცვლადზე და ამიტომ იგი შეგვიძლია შემდეგნაირად გადავწეროთ

$$\frac{\partial W}{\partial t} - a\left(\frac{1}{|\Omega|}\int_0^t\int_{\Omega}|rot\,W|^2 dxd\tau\right)rot\,rot\,W = 0\,. \qquad (10)$$

ბრტყელი ველისთვის $W = W(0,U,V)$, სადაც $U = U(x,t)$ და $V = V(x,t)$ ერთი სივრცული ცვლადის ფუნქციებია, (10) ვექტორული ტოლობიდან მივიღებთ შემდეგ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{aligned}
&\frac{\partial U}{\partial t} - a\left(\int_0^t\int_{\Omega}\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dxd\tau\right)\frac{\partial^2 U}{\partial x^2} = 0\,,\\
&\frac{\partial V}{\partial t} - a\left(\int_0^t\int_{\Omega}\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dxd\tau\right)\frac{\partial^2 V}{\partial x^2} = 0\,,
\end{aligned} \qquad (11)$$

სადაც $\Omega = [0,1]$.

ზემოთ მიღებული (10), (11) სისტემის გამოკვლევა, როგორც ეს [54] ნაშრომშია აღნიშნული, რთულია და მოითხოვს დამოუკიდებელ შესწავლას.

ზემოთ მოყვანილი (7) და (10) ინტეგრო-დიფერენციალური მოდელების სხვადასხვა ვარიანტი შესწავლილია მრავალ სამეცნიერო

ნაშრომში (იხილეთ მაგალითად, {31-46, 48-56, 58, 59, 64, 67, 68, 70-80, 83-102} და მათში მითითებული ლიტერატურული მითითებები).

ინტეგრო-დიფერენციალური (7) მოდელის გამოკვლევა $H=(0,0,U)$ შემთხვევისთვის პირველად ჩატარებული იყო [37] ნაშრომში. კერძოდ, ამ ნაშრომში დამტკიცებულია პირველი საწყის-სასაზღვრო ამოცანის განზოგადებული ამონახსნის არსებობის თეორემა ერთგანზომილებიანი სივრცითი ცვლადის შემთხვევაში, როცა $a(S)=1+S$, ხოლო ერთადერთობის თეორემები უფრო ზოგადი შემთხვევებისთვისაც.

ერთგანზომილებიანი ვარიანტი $a(S)=(1+S)^p$, $0<p\le 1$ შემთხვევისთვის შესწავლილია [32] ნაშრომში. ამ ნაშრომში პირველი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნისთვის დამტკიცებულია არსებობისა და ერთადერთობის თეორემები $L_{2p+2}\left(0,T;\overset{o}{W}{}^{1}_{2p+2}(0,1)\right)$ სივრცეში. აღვნიშნოთ, რომ აქ და შემდეგში ყველგან დისერტაციაში გამოყენებულია სობოლევის სივრცეები ცნობილი აღნიშვნებით.

მრავალგანზომილებიანი სივრცული ცვლადების შემთხვევაში აღნიშნული (7) ტიპის მოდელები პირველად განხილული და გამოკვლეული იყო [31, 33] ნაშრომებში.

მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა პარაბოლური ტიპის მაქსველის ცნობილ განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზემოთაღწერილი მოდელებისთვის სხვადასხვა ტიპის საწყის-სასაზღვრო ამოცანების შესწავლას ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევისა და მიახლოებითი ამონახსნების აგების თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომში სწორედ ამ მიმართულებით აღნიშნული მოდელების შესწავლაა ძირითად საკვლევ თემად ქცეული. აქვე აღვნიშნავთ, რომ დისერტაციაში ორკომპონენტიანი და წყაროს წევრებიანი სისტემებისკენ არის მეტი ყურადღება გადატანილი.

აღნიშნული მოდელები ასეთი გაერთიანებული სახით შეიძლება ჩაიწეროს

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(S\right)\frac{\partial U}{\partial x}\right]+f(U),$$
$$\frac{\partial V}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(S\right)\frac{\partial V}{\partial x}\right]+f(U),$$

სადაც (8) ტიპის მოდელისთვის გვაქვს

$$S\left(x,t\right)=\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau,$$

ხოლო (11) ტიპის მოდელისთვის

$$S\left(t\right)=\int_0^1\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dxd\tau,$$

ამასთან აქ $f=f(U)$ არის თავისი არგუმენტის მოცემული ფუნქცია, ე.წ. წყაროს წევრი.

§ 3. ერთი დიფერენციალური მოდელის ამონახსნის წრფივი და გლობალური მდგრადობის შესახებ

ამ პარაგრაფში მოცემულია ერთი დიფუზიური მოდელის ამონახსნის ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. ამ ტიპის საკითხების გამოკვლევა პირველად განხორციელდა [35] ნაშრომში, განზოგადებული სისტემისთვის კი [50] ნაშრომში. ჩვენი ამოცანაა მეხუთე პარაგრაფში რიც-ხვითი ექსპერიმენტებით აღნიშნული ნაშრომების შედეგების დადასტურება. [35] ნაშრომში საკმაოდ ზოგადი ხარისხოვანი არაწრფივობის მქონე მოდე-ლის ერთი საწყის-სასაზღვრო ამოცანისთვის ჯერ შესწავლილია ამონახსნის წრფივი მდგრადობა, შემდეგ კი ჰოფის ტიპის ბიფურკაციის წარმოშობის შესაძლებლობა. ბოლოში ერთი კონკრეტული არაწრფივობი-სათვის შესწავ-ლილია ამონახსნის გლობალური მდგრადობის საკითხიც.

პირველ ამოცანას აქვს შემდეგი სახე [35]:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left(V^{\alpha}\,\frac{\partial U}{\partial x}\right),$$

$$\frac{\partial V}{\partial t}=-V^{\beta}+V^{\gamma}\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^{2},$$

(12)

$$U\left(0,t\right)=0,\ V^{\alpha}\,\frac{\partial U}{\partial x}\bigg|_{x=1}=\psi,$$

$$U\left(x,0\right)=U_{0}\left(x\right),\ V\left(x,0\right)=V_{0}\left(x\right),$$

სადაც $\alpha\neq 0,\quad 2\alpha+\beta-\gamma\neq 0,$ ხოლო U_0 და V_0 კი $\left[0,1\right]$ არეზე მოცემული ფუნქციებია.

(12) ამოცანის სტაციონალური ამონახსნია $\left(\psi^{\frac{\beta-\gamma}{2\alpha+\beta-\gamma}},\psi^{\frac{2}{2\alpha+\beta-\gamma}}\right).$ შემდეგი აღნიშვნის შემოღებით $W(x,t)=V^{\alpha}\,\frac{\partial U}{\partial x}$ (12) ამოცანა [35]-ში ჩაწერილია U და W ფუნქციების ტერმინებში და ამ სიტუაციისთვის სტაციონარული ამონახსნია

$$\left(\psi,\psi^{\frac{2}{2\alpha+\beta-\gamma}}\right).$$

სამართლიანია შემდეგი დებულება [35].

თეორემა 1.1. თუ $2\alpha+\beta-\gamma>0,$ მაშინ (12) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი $\left(\psi,\psi^{\frac{2}{2\alpha+\beta-\gamma}}\right)$ წრფივად მდგრადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სრულდება უტოლობა

$$\left(\gamma-\beta\right)\psi^{\frac{2\left(\beta-\alpha-1\right)}{2\alpha+\beta-\gamma}}<\frac{\pi^{2}}{4}.$$

თუ $\gamma-\beta>0,\quad \beta-\alpha-1\neq 0$ და

$$\psi_{c}=\left[\frac{\pi^{2}}{4\left(\gamma-\beta\right)}\right]^{\frac{2\left(\beta-\alpha-1\right)}{2\alpha+\beta-\gamma}},$$

მაშინ როცა $0<\psi<\psi_c$ (12) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი წრფივად მდგრადია, ხოლო როცა $\psi>\psi_c$ მაშინ კი – არამდგრადი.

სტაციონარული ამონახსნის გლობალური მდგრადობის საკითხი კი შესწავლილია შემდეგი ამოცანისთვის [35]:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left(V\frac{\partial U}{\partial x}\right),$$

$$\frac{\partial V}{\partial t}=-V+\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2, \tag{13}$$

$$U(0,t)=0,\ V\frac{\partial U}{\partial x}\bigg|_{x=1}=\psi,$$

$$U(x,0)=U_0(x),\ V(x,0)=V_0(x).$$

თეორემა 1.2. საწყის-სასაზღვრო (13) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი $\left(\psi^{\frac{1}{3}}x,\psi^{\frac{2}{3}}\right)$ გლობალურად მდგრადია $L_2(0,1)$ სივრცის ნორმის აზრით.

ზემოთ აღნიშნულ [50] ნაშრომში გამოკვლეულ ამოცანას აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial t}\left(S^{\alpha}\frac{\partial U}{\partial x}\right),\ \frac{\partial V}{\partial t}=\frac{\partial}{\partial t}\left(S^{\alpha}\frac{\partial V}{\partial x}\right),$$

$$\frac{\partial S}{\partial t}=-aS^{\beta}+bS^{\gamma}\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right], \tag{14}$$

$$U(0,t)=V(0,t)=0,\ U(1,t)=\psi_1,\ V(1,t)=\psi_2,$$

$$U(x,0)=U_0(x),\ V(x,0)=V_0(x),\ S(x,0)=S_0(x)>0, \tag{15}$$

სადაც $\alpha,\ \beta,\ \gamma\in R,\ \alpha\neq 0,\ a,b\in R^{+},\ \psi_1=Const>0,\ \psi_2=Const>0.$

ნაშრომში [50] დამტკიცებულია შემდეგი დებულებები.

თეორემა 1.3. თუ $2\alpha+\beta-\gamma>0$ და $\beta\neq\gamma$, მაშინ (14), (15) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი ($\psi_1 x, \psi_2 x, \left(\frac{b(\psi_1^2+\psi_2^2)}{a}\right)^{\frac{1}{\beta-\gamma}}$) წრფივად მდგრადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა შესრულებულია შემდეგი უტოლობა

$$a(\gamma-\beta)\left[\frac{b}{a}\left(\psi_1^2+\psi_2^2\right)\right]^{\frac{\beta-\alpha-1}{\beta-\gamma}}<\pi^2.$$

ერთი კონკრეტული არაწრფივობისთვის [50] ნაშრომში ასევე დამტკიცებულია გლობალური მდგრადობის დებულებაც.

თეორემა 1.4. თუ $\alpha=\beta=a=b=1, \gamma=0,$ მაშინ (14), (15) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი $(\psi_1 x, \psi_2 x, \psi_1^2+\psi_2^2)$ გლობალურად მდგრადია $L_2(0,1)$ სივრცის ნორმის აზრით.

§ 4. სხვაობიანი სქემები დიფერენციალური მოდელისათვის

ამ პარაგრაფში ჯერ მოცემულია ზოგადი ერთგანზომილებიანი მოდელის შესაბამისი სხვაობიანი ანალოგი. შედეგ კი ერთი არაწრფივი კონკრეტული დიფერენციალური ამოცანის ამოსახსნელი სამშრიანი სასრულსხვაობიანი სქემა კრებადობის დასაბუთებით. ეს ამოცანა ამ შემთხვევისთვის არის ჩაწერილი დიფერენციალური ფორმით, თორემ ადვილი შესამჩნევია, რომ ის ინტეგრო-დიფერენციალურ მოდელის სახეზეც ადვილად დაიყვანება.

გამოვიყენოთ ცნობილი აღნიშვნები და შემოვიღოთ $\overline{\omega}_{h\tau}=\overline{\omega}_h\times\omega_\tau$ ბადე $\overline{Q}=\{0\le x\le 1,\ 0\le t\le T\}$ მართკუთხედზე, სადაც T არის მოცემული დადებითი რიცხვი:

$$\overline{\omega}_h=\{x_i=ih, i=0,..,M, hM=1\},$$

$$\omega_\tau=\{x_j=j\tau, j=0,..,N, N\tau=T\}.$$

აქ h არის ბიჯი x ცვლადის მიმართ, ხოლო τ კი დროითი ცვლადის ბიჯი $[0,T]$ შუალედზე.

ასევე შემოვიღოთ შემდეგი ცნობილი აღნიშვნები:

$$y = y_i^j = y\left(x_i, t_j\right), \; y = y_i^{j+1} = y\left(x_i, t_{j+1}\right),$$

$$y_t = \frac{y - y}{\tau}, \; y_{\bar{x}} = \frac{y_i^j - y_{i-1}^j}{h}, \; y_x = \frac{y_{i+1}^j - y_i^j}{h},$$

$$y_{\bar{x}x} = \frac{y_{i+1}^j - 2y_i^j + y_{i-1}^j}{h^2}.$$

U და W აღნიშვნებში ჩაწერილ (12) ამოცანას შევუსაბამოთ შემდეგი სხვაობიანი სქემა:

$$w_t = \hat{v}^{\alpha} w_{\bar{x}x} + a\left(v^{\gamma-2\alpha-1}w^2 - v^{\beta-1}\right)w, \tag{16}$$

$$v_t = -v^{\beta} + v^{\gamma-2\alpha}w^2, \tag{17}$$

$$\left.\frac{\partial w}{\partial t}\right|_{x=0} = 0, \; w(1,t) = \psi, \tag{18}$$

$$w(x,0) = v_0^{\alpha}\frac{\partial U_0(x)}{\partial x}, \quad v(x,0) = V_0(x). \tag{19}$$

(16)-(19) სხვაობიანი სქემა ადვილად რეალიზებადია, ვინაიდან $t = t_{j+1}$ შრეზე მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად საჭიროა მიმდევრობით ამოიხსნას (17) განტოლებათა სისტემა $\hat{v}$ ფუნქციის მიმართ, შემდეგ კი (16) განტოლებათა სისტემა w ფუნქციის მიმართ უკვე ნაპოვნი $\hat{v}$ ფუნქციის გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი ალგორითმი არ საჭიროებს იტერაციული პროცესის გამოყენებას, რადგან $\hat{v}$ ფუნქციას (17) ტოლობიდან ცხადად ვპოულობთ, შემდეგ კი w ფუნქციას სამდიაგონალური მატრიცის მქონე წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ფაქტორიზაციის ძალიან ცნობილი მეთოდის საშუალებით ამოხსნით.

ახლა განვიხილოთ ამოცანა, რომლითვისაც აგებული და გამოკვლეულია სამშრიანი სასრულ-სხვაობიანი სქემა.

მართკუთხედში $\overline{Q}$ განვიხილოთ სამშრიანი სასრულ-სხვაობიანი სქემა შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანისათვის:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left(V^{p}\frac{\partial U}{\partial x}\right),$$
$$\frac{\partial V}{\partial t}=\frac{1}{2}V^{p-1}\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^{2}, \tag{20}$$

$$U\left(0,t\right)=V\left(1,t\right)=0,\ U\left(x,0\right)=U_0\left(x\right), \tag{21}$$

$$V\left(x,0\right)=V_0\left(x\right)\geq\delta_0=Const. \tag{22}$$

(20)-(22) სისტემაც არის ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის გავრცელების ერთგანზომილებინი ანალოგი და მისი კვლევა დაწყებულია [32, 37] ნაშრომში. (20)-(22) სახის ამოცანების ამონახსნების არსებობა და ერთადერთობა შესწავლილია [31- 33, 37] ნაშრომებში და კიდევ სხვა მრავალ სამეცნიერო პუბლიკაციაში.

აგრეთვე შესწავლილია (20)-(22) ამოცანის სასრულ-სხვაობიანი სქემა $p=1$ შემთხვევისათვის [34]. ჩვენს ნაშრომში [90] განხილულია შემთხვევა, როცა $-1\leq p\leq 1$.

ახლა მოვიყვანოთ [90] ნაშრომის მთავარი შედეგი დამტკიცებითურთ. ვთქვათ, U და V არის (20)-(22) ამოცანის საკმაოად გლუვი ამონახსნი. განვიხილოთ ბადე $\omega_{h\tau}=\omega_h\times\omega_\tau,\quad \omega^*_{h\tau}=\omega^*_h\times\omega_\tau$, სადაც

$$\omega_h=\left\{x_i=ih, i=0,..,M-1; h=1/M\right\},\ \overline{\omega}_h=\omega_h\cup\left\{x_0=0, x_M=1\right\},$$

$$\omega^*_h=\left\{x_i=\left(i-1/2\right)h, i=1,..,M\right\},\ \omega_\tau=\left\{x_j=j\tau, j=0,1,..,N, \tau=T/N\right\}.$$

განვსაზღვროთ სკალარული ნამრავლები და ნორმები:

$$\left(u,v\right)=\sum_{i=1}^{M-1}u_iv_ih,\qquad \left(u,v\right]=\sum_{i=1}^{M}u_iv_ih,$$

$$\left\|u\right\|=\left(u,u\right)^{1/2},\quad \left\|u\right]\!\!\right|=\left(u,u\right]^{1/2}.$$

განვიხილოთ (20)-(22) ამოცანის შესაბამისი შემდეგი სამშრიანი სასრულ-სხვაობიანი მოდელი:

$$u_{\tau}+\beta\tau u_{\bar{t}t}=\left(\left(v^{(\alpha)}\right)^{p}u_{\bar{x}}^{(\alpha)}\right)_{x},$$
$$v_{\tau}+\beta\tau v_{\bar{t}t}=\frac{1}{2}\left(v^{(\alpha)}\right)^{p-1}\left(u_{\bar{x}}^{(\alpha)}\right)^{2}, \tag{23}$$

$$u(0,t)=u(1,t)=0,\ t\in\omega_{h}, \tag{24}$$

$$u(x,0)=U_{0}(x),\ u(x,t)=U_{0}(x)+\tau\left(\left(V_{0}^{(\alpha)}\right)^{p}U_{0\bar{x}}^{(\alpha)}\right)_{x}, \tag{25}$$

$$v(x,0)=V_{0}(x),\ v(x,t)=V_{0}(x)+\frac{1}{2}\tau\left(V_{0}^{(\alpha)}\right)^{p-1}\left(U_{0\bar{x}}^{(\alpha)}\right)^{2}, \tag{26}$$

სადაც $w^{(\alpha)}=\alpha w+(1-\alpha)w;$ α,β არის პარამეტრები და გამოყენებულია გავრცელებული აღნიშვნები.

(23)-(26) ამოცანაში u შეესაბამება $\omega_{h\tau}$ ბადის კვანძებს, ხოლო v შეესაბამება $\omega_{h\tau}^{*}$ ბადის კვანძებს.

თუ (23)-ის პირველ განტოლებას გავამრავლებთ სკალარულად $u^{(\alpha)}$ ფუნქციაზე, ხოლო მეორეს $2v^{(\alpha)}$ ფუნქციაზე, მარტივი გარდაქმნებით ვღებულობთ შემდეგ დამოკიდებულებებს:

$$\left(u_{t}+\beta\tau u_{\bar{t}t},u^{(\alpha)}\right)=-\left(\left(v^{(\alpha)}\right)^{p},\left(u_{\bar{x}}^{(\alpha)}\right)^{2}\right),$$
$$2\left(v_{t}+\beta\tau v_{\bar{t}t},v^{(\alpha)}\right)=\left(\left(v^{(\alpha)}\right)^{p},\left(u_{\bar{x}}^{(\alpha)}\right)^{2}\right).$$

და ბოლოს

$$\left(u_{t}+\beta\tau u_{\bar{t}t},u^{(\alpha)}\right)+2\left(v_{t}+\beta\tau v_{\bar{t}t},u^{(\alpha)}\right)=0. \tag{27}$$

უნდა აღინიშნოს, რომ ბადური ფუნქციისთვის სამართლიანია მარტივად შესამოწმებელი იგივეობა

$$2\left(\eta_{t}+\beta\tau\eta_{\bar{t}t}\right)\eta^{(\alpha)}=\left(J^{2}(\eta)\right)_{t}+\alpha\beta\tau^{3}\left(\eta_{\bar{t}t}\right)^{2}+$$
$$+\tau\left(\alpha-0.5-\beta\right)\left(\left(\eta_{t}\right)^{2}+\left(\eta_{\bar{t}}\right)^{2}\right), \tag{28}$$

სადაც

$$J^{2}(\eta)=\left(1-\frac{\beta}{\alpha}\right)\eta^{2}+\left(\alpha-0.5-\beta\right)\left(\eta-\breve{\eta}\right)+\beta\left(\frac{1+\alpha}{\sqrt{\alpha}}\eta-\sqrt{\alpha}\eta\right)^{2}.$$

გარდა ამისა, თუ α და β პარამეტრები აკმაოფილებენ პირობას $\alpha-0.5\geq\beta\geq 0,$ მაშინ სამართლიანია შემდეგი უტოლობა

$$J^2(\eta)=\frac{1}{2\alpha}\eta^2. \tag{29}$$

საბოლოოდ, (27)-(29) დამოკიდებულებების გათვალისწინებით მივიღებთ, რომ

$$\begin{gathered}\left(\left\|J^2(u)\right\|+\left\|J^2(v)\right\|\right)_t=0,\\ \|u\|^2+\|v\|^2\leq\|\breve{u}\|^2+\|\breve{v}\|^2.\end{gathered} \tag{30}$$

(30) აპრიორული შეფასება ამტკიცებს (23)-(26) სქემის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ ადვილია საჩვენებელია შესაბამისი ამოცანის ამონახსნის ერთადერთობაც.

ახლა მოვიყვანოთ კრებადობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია [90] ნაშრომში.

თეორემა 1.5. თუ $-1\leq p\leq 1$ და $\alpha-0.5\geq\beta\geq 0,$ მაშინ (20)-(22) ამოცანის საკმაოდ გლუვი ამონახსნისათვის, (23)-(26) სქემის ამონახსნი კრებადია (20)-(22) ამოცანის ამონახსნისაკენ $O\left(\tau^2+h^2+(\alpha-0.5-\beta)\tau\right)$ რიგით.

დამტკიცება. თუ (23)-(26) ამოცანის ამონახსნს ჩავსვავთ (20)-(22) ამოცანაში, მივიღებთ ცდომილობას $z=u-U,$ $s=v-V,$ რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:

$$z_t+\beta\tau z_{\bar{t}t}=\left(\left(v^{(\alpha)}\right)^p u_{\bar{x}}^{(\alpha)}-\left(v^{(\alpha)}\right)^p U_{\bar{x}}^{(\alpha)}\right)+\varphi_1, \tag{31}$$

